

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ, მათ. 11 28.

№ 3

1883—1899

15 თებერვალი


ჩაუი მღვრომაროვს ადამიანის ცხოვ- რების მიზანი.



მას წინათ ჩვენ წავიკითხეთ ვაზ. «ივერიის»
ორ ნომერში ვილაკ ვირთაგავას ფელე-
ტონები, რომლებშიაც წამოყენებულია
საკითხი ადამიანის ცხოვრების მნიშვნელო-
ბასა და დანიშნულებაზე. ავტორს ჯერ-
მოკავს ძველის და ამ ბოლონდელი ფილო-
სოფოსთა ამ საკითხზე მოცემულ-
ნი შეხედულებანი, მერე გადადის ქრისტი-
ანობაზე და ამ უკანასკნელში პოებს ბევრ ნაკლსა.
ბოლოს და ბოლოს ავტორს მკითხველისთვის არას-
ფერი არ განუმარტავს, ასე რომ წამოყენებული

საკითხი რჩება აუხსნელი, და მკითხველი გულ-
ნაკლული და დაუკმაყოფილებელი.

ამ ფელეტონების გამოწვლილვაში რომ არ
შევიდეთ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ამის-
თანა სტატიებს სრულიად არავითარი სარგებლობა
არ მოაქვთ მკითხველთათვის, მეტადრე ქართულ ჟურ-
ნალ-გაზეთების მკითხველთათვის. თვითველს რე-
დაქციას ჩვენში კარგად შეუძლია წარმოიდგინოს,
თუ, რაგვარ მკითხველებთან აქვს მას საქმე. ხანგა-
მოშვებითის გამოცემების რიცხვნაკლებობის გამო,
ერთი და იგივე გამოცემა ერგუნება ხოლმე რო-
გორც კარგა მომზადილ და დარბაისელ წამკითხ-
ველს, ისე ისეთს, რომელსაც არავითარმე განათ-
ლება არ მიუღია, ძლივ-გასაჰირით შეჩვევია კითხვას
და უნებურათ უნდა იღოს რამე ცნობები იმავე
გამოცემებითგან. ამ გარემოებათა მიმხედველი მე-
ტათ გაფრთხილებული უნდა იყოს იმაზე, თუ რას



აწვდის მკითხველს. ის, რაც მომზადილ მკითხველსთვის ადვილ შესათვისებელია და პირადის კრიტიკისათვის ხელჩასაჭიდი, ხშირათ მოუზადებელი მკითხველისთვის მავნებელია.

ამ ფელეტონების საპასუხოთ, ჩვენ ვსარგებლობთ «სამწყსო მოსაუბრიოთგან» ერთს შევნიერ სტატიას ამ სათაურით: ადამიანის ცხოვრების მანძილ, საითგანაც მოგვყავს შემდეგი ადგილი:

„საკითხი იმისი თუ, რა არის ჩვენის ცხოვრების უმაღლესი მიზანი, ე. ი. რის გულისთვის უნდა ვცხოვრებდეთ და რას მივესწრაფოდეთ, ყოველთვის იპყრობდა კაცობრიობის მოაზრე გონებათა, იმიტომ რომ ისინი გრძნობდენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტლათ ცხოვრებას აკლდა გამაერთებელი დასაბამი: მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტის პირველმავე საცადებმა უჩვენეს ადამიანებს, რომ იგი ადვილი გადასაწყვეტი არაა. და ეს სრულიათ გასაგებია. იმის გულისთვის, რომ ეს საკითხი გადაწყდეს ყოველმხრივათ და კანონიერათ, საჭირო იყო ცოდნა იმისი, პირველათ, რა არის კეთილი და რაა ბოროტი, რადგანაც ცხოვრების უზენაესი მიზანი უნდა ყოფილიყო უთუოთ კეთილი; მეორეთ გვცოდნოდა სრულათ და სავსებით თავისი ადამიანური ბუნება, რათა უმაღლეს მიზნათ დაგვედვა ის, რაც შეესაბამება მის მოთხოვნილებათა და, ბოლოს, მესამედ, უნდა გვცოდნოდა სავსებით და სისრულით მთელი ქვეყნიერობა და მისთ მოვლენათა განმგე კანონები, რათა ცხოვრების მიზნათ ის არ დავიდოთ, რაც აუსრულებელია, როგორც ბუნების კანონთა წინააღმდეგი და სხ. და რაკი ადამიანთ არ ქონდათ ამისთანა ცოდნანი და არც ეძლოთ ქონდათ, იმიტომ რომ ამისთანა სრული და აღსავსე ცოდნანი შეადგინებენ მხოლოდ ყოველად სრულის ღვთის გონების კუთნილებას, ამიტომაც ადამიანის სიცოცხლის უზენაეს მიზნის საკითხის გადაწყვეტილებანი არ იყვენ ერთგვარნი და ყოველმხრივნი, რის გამოც ერთთაგან მიღებული მეორეთაგან უარ იყოფოდენ. გარნა, მიუხედავათ იმისა, რომ სიცოცხლის უზენაეს მიზნის საკითხის გადაწყვეტილებანი წარმოდგინდენ მრავალნი, ყველა ისინი მოიყვანებიან სამს მიმართულებად, სახელდობ: ადამიანის სიცოცხლის უზენაეს მიზნად წამოყენებული იყო ანუ სიამოვნება, ანუ სარგებლობა, ანუ თვითმოსპობა“.

ამ გადაწყვეტილებათაგან ყველაზედ უფრო იბი-

რებს თვისდა სასარგებლოთ ის, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მიზნად სახავს სიამოვნებას. მართლაც, ტანჯვათა აცილება და სიამოვნებათა ძებნა — ეს ყველაზე უფრო სადაა, ყველასთვის ხელმისაწვდომი და ყველასათვის გასაგები მისწრაფება. მაგრამ მინც არ შეიძლება და არც უნდა იყოს სიცოცხლის უმაღლეს მიზნად, არ შეიძლება და არც უნდა იყოს ყოველის უწინარეს უფრო იმიტომ, რომ შემეცნება სიამოვნება — შემეცნებაა მეტათ განუსაზღვრელი, ე. ი. სიამოვნებანი არიან ძალიან სხვადასხვაფორენი და მათი დაფასება დამოკიდებულია თვითეულის ადამიანის ხასიათზე, გონებითისა და ზნეობითის განვითარების ხარისხზე და შემთხვევითს გუნებაზე. ამას კი მიჰყავს იმისკენ, რომ, რაც ერთისთვის სიამოვნებას შეადგენს, მეორესთვის გაურჩეველია ანუ არასასიამოვნო. ეს კი არა და ერთისა და იმავე კაცისთვის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში ერთი და იგივე სასიამოვნოცა და არასასიამოვნოც, ე. ი. კმაყოფილებაცა და არა კმაყოფილებაცა. და ვერასოდეს ყველა ადამიანები ვერ შეთანხმდებიან ერთი ჩათვალონ სიამოვნებად და მეორე არა სიამოვნებად. მეორე, რაც შეიძლება ითქოს სიამოვნებათა წინააღმდეგ, როგორც სიცოცხლის უზენაეს მიზნისა, შეიცავს მასში, რომ სიამოვნებანი მსწრაფლწარმავალნი არიან, ე. ი. რომ თვითეული სიამოვნება ცხადდება სიამოვნებათ ერთერთ საზღვრამდე, რას იქით იგი იწყებს გამოწვევას უამურ გრძნობას ნაყოფებისას, ე. ი. გადადის სატანჯელში. ამას გარდა ისეც მოხდება ხოლომე, რომ სიამოვნებათა თავმოებურება იციან და შედეგად გულმოსუყება და ცხოვრებით უკმაყოფილება მოსდევს. ასეთს გულისმოსუყების მდგომარეობას საუცხოვოთ გვისახავს ჩვენ სოლომონი. „შევმართე მე, ამბობს ის, საქმენი დიდნი: აღვიშენე სახლნი, დავისახნე ვენახნი, გავიშენე ბაღნი და მიღნარნი და დავრგე შიგან ყოველნი ხენი ნაყოფიერნი; მოვიხვექნე მონანი და მხეველნი და დედაწულნიცა მყვანდენ; ავრეაფე მსხვილნი და წვრილნი პირუტყენი უმრავლეს ყოველთა ჩემსა წინა მყოფთა იერუსალიმსა შინა; შემოვიკრიბე ოქრო და ვერცხლი და ძვირფასეულნი მეფეთა და სამფლობელოთაგან; მოვიხვენე მგოსანი და მომღერალნი და ძეთა კაცთასა სატკბურებანი — სხვადასხვა სამუსიკო იარაღნი. რასაც ჩემნი თვალნი მოისურვებდენ, მე უარს არ ვუყოფდი, არცა დაუფლობდი გულსა ჩემსა არავითარსა



მზიარულებასა“ (ეკლ. 2, 4—10). მაგრამ ჩანს არ მისცეს მის სულს მშვიდობა ამა სიკეთეთა. „შევხედე მე, ამბობს იგი ქვევით, ყოველთ საქმეთა, რაც ჩემთ ხელთ ექმნათ და შრომასა, რომელსა მე ვშრომობდი: და აი ყოველივე—ამაოა და დაღალვა სულისა და არ არის მათგან სარგებლობა, ე. ი. ბედნიერება მზეს ქვეშე“. ბოლოს სიამოვნების, როგორც სიცოცხლის უზენაესის მიზნის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას კიდევ ისიცა, რომ თუ დავიდგინეთ იგი სიცოცხლის უმაღლეს მიზნად, მაშინ უნდა გავიკვლიათ როგორც ისეთი არა საჭირო მისწრაფებანი, როგორც არის მისწრაფება ქეშმარიტებისა, კეთილისა, ღვთისა, ზნეობისა სისრულემდე. ეს კი მიუცილებლათ მიგვიყვანს როგორც პირადის, ისე საზოგადო ზნეობის დარღვევამდე. ეს იმიტომ რომ, როგორც გვიჩვენებს ისტორიული გამოცდილება, ყველგან, სადაც გრძნობითი სიამოვნებათა და მისთვის საჭირო საშუალებათა შეძენისადმი მისწრაფება დაიპყრობს ადამიანთა უმეტესობას, მაშინ დროების უმთავრეს ბიწიერებად ხდებიან ანგარება, გრძნობიარობა და ფუფუნება. ესენი კი ნელ-ნელა სჩაგრავენ ყოველს ზნეობრივს მხნეობას და არღვევდენ მამულისადმი თავდადების და სიყვარულის გრძნობას.

არ შეიძლება და არც უნდა იყოს სიცოცხლის უზენაეს მიზნად არც სარგებლობა. მართალია, რომ ვიგულოთ სიამოვნება კი არა, არამედ სარგებლობა, ე. ი, ვქმნათ ყოველივე ის, რაც ჩვენს კეთილ-ღღეობას ხელს უწყობს, თუნდაც ეს არა ყოველთვის გვაკლავდეს ჩვენ პირდაპირ სიამოვნებას, მაგ. გონების განათლება, ზომიერის ცხოვრების მიღება, და მისთანები; ერთი შეხედვით უფრო მალა და უშესაბამესი არი ადამიანის ღირსებისა, ვინემ მისწრაფება სიამოვნებათადმი. მაგრამ საქმეს რომ უფრო დააკვირდეს, მაშინ აღმოჩნდება, რომ სარგებლობისადმი მისწრაფებით, ადამიანები, მართალი რომ ვთქვათ, მისწრაფიან იმავე სიამოვნებას, იმიტომ რომ სასარგებლოდ ჩვენთვის უნდა იწოდებოდეს ყოველი ის, რაც მოგვანიჭებს ჩვენ ბედნიერებას; ბედნიერება კი, ვინც სარგებლობას სიცოცხლის უმაღლეს მიზნად სახავს, თითონ იმათი სიტყვით „შესდგება სიამოვნებათა თვით უდიდეს ჯუმლისაგან თვით უმცირესს ტანჯვათა ჯუმლთაგან ერთად“. შემდეგ სარგებლობის წინააღმდეგ, როგორც სიცოცხლის უმაღლესის

მიზნისა, უნდა ითქოს კიდევ ის, რომ შემეცნება სარგებლობის, როგორც შემეცნება სიამოვნებისა, არის შემეცნება განუსაზღვრელი. რომ ეს ასეა, მის დამტკიცებას შეადგენს უთანხმოება სარგებლობის განსაზღვრებაში ამ მოძღვრების თვითონ მიმდევართა შორის. ასე რომ ზოგნი მათგანნი ადამიანის ყოველ მოქმედებას აფასებენ იმის კვალობაზე ამ მოქმედებათაგან მოცემულის კეთილმყოფლობით, მეორენი ამბობენ ადამიანის შინაგან კმაყოფილებაზე, მესამენი პირველ ადგილზე სხამენ მისს პირადს ბედნიერებას, მეოთხენი გვითითებენ საზოგადო სარგებლობაზე და სხ. კიდევ უფრო ძნელი განსასაზღვრელია, რაა ჩვენთვის სასარგებლო და რა მავნებელი, თუ ჩვენ ვიგულისხმებთ არა ცალ-ცალკეთა ჩვენს მოქმედებათა, არამედ მთელს ცხოვრებას მის მთლიანობით. ამ შემთხვევაში ნამდვილი პასუხის მიცემა ამ საკითხზე პირდაპირ შეუძლებელია; შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წინა განვსჭვრიტოთ ყველა სხვა-და-სხვაფერნი შედეგნი, რომელნიც უკან მოჰყვებიან ამა თუ იმა ჩვენს საქციელს, რადგან ეს შედეგები დამოკიდებულინი არიან აუარებელ გარეგანს გარემოებებზე, რომელნიც ჩვენთვის სრულიად უცოდნელნი არიან, ან ისეთებზე, რომელთა აცდენა ჩვენ არ ძალ გვიძს. ბოლოს, სარგებლობის წინააღმდეგ, როგორც ცხოვრების უზენაესი მიზნისა, უნდა კიდევ ითქოს ის, რომ როცა იმას ვიხდით ჩვენი სიცოცხლის მიზნად, ჩვენ უნდა მოვისპოთ ჩვენს შინაგან ბევრი კაი აღმოფრენა ჩვენის სულის, როგორც უსარგებლონი. მაგალითად, თუ ჩვენ ვესწრაფით მარტო ოდენ სასარგებლოს, მაშინ ჩვენ უნდა აღმოვიფხვრაო გულში გრძნობა სიყვარულისა და გულშემატკივრობისა სხვა-და-სხვა გვარ ხეობათა, უიმედო სნეულთა და მისთანათადმი; უნდა უარყოთ მათდამი დახმარება, იმიტომ რომ ამ ნაჩვენების მხედველობის ისრით ყოველი მათზე ხარჯი უსარგებლო იქნება და ამიტომ უმიზნო და არა საჭირო კიდევ უფრო ნაკლებ, ვინემ სიამოვნება და სარგებლობა, შეიძლება იყოს სიცოცხლის უზენაეს მიზნად თავის თავის მოსპობა, ე. ი. მისწრაფება მოისპო თავისი შეგნებული პირადი ცხოვრება და გადიქცე რაღაც გულგრილ რადმე, ყოველისაგან მოკვეთილი და არარის შემგნე. აზრი, რომ დაიდოს სიცოცხლის უზენაეს მიზნად თვით მოსპობა, გაჩნდა ინდოეთში, შემდეგ კი 50 წლის განმავლობაში ამ საუკუნისა,

მან იქონია რამდენიმე წარმატება ევროპაშიაც. მაგრამ უკვე წარსული ამ მოძღვრების მიმყოფთა გვიჩვენებს, რომ თვით მოსპობა არ შეიძლება და არ უნდა იყოს ცხოვრების უზენაეს მიზნად, არ შეიძლება და არ უნდა იყოს მარტო იმისთვის, რომ მისგან პრაქტიკულ ცხოვრებაში უარი ჰყვეს თვითონ მისმა მიმყოფებმა, იმიტომ რომ თვით მოსპობა, ე. ი. უარ ყოფა შეგნებულის პირადის ცხოვრებისა, მიუწოდებელია.

ჩავევთ, თვით მოსპობისადმი მისწრაფება გწინააღმდეგება ადამიანის ბუნების ერთს თვით უძლიერეს მისწრაფებას, მისწრაფებას იცხოვრო და იცხოვრო სახელდობრ შეგნებულის პირადი ცხოვრებით, ე. ი. ადამიანისთვის ძვირუფასი და საპატოო ის კი არაა, რომ ის როგორმე იცხოვრებს, არამედ ძვირად და საპატოო ის, რომ, იგი იცხოვრებს სახელდობრ შეგნებულად და პიროვნულად. ამასთანავე შეგნებულს და პირადს უკვდავებას მიესწრაფიან თვითონ მიმდევნელნიც თვითსაპობის როგორც უზენაესის ცხოვრების მიზნის მოძღვრებისა. და გადაჭრით არ არი არავითარი საფუძველი იფიქრო, რომ ადამიანთა მიდრეკილებანი დროთა მიმდინარეობისათანავე შეიძლება გამოცვლილიყო და ისინი, უარ მყოფელი შეგნებულის პირადი ცხოვრებისადმი მისწრაფებისა, დაიწყებდნენ მისწრაფებას თვით მოსპობისადმი.

იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლის მახლობელ დროში ყველა ნაჩვენები გადაწყვეტილებანი საკითხისა ცხოვრების უზენაეს მიზანზე უკვე იცოდნენ ადამიანებმა, ასე რომ უფრო გვიან ადამიანები მხოლოდ სხვანაირათ აფორმებდნენ და ამატებდნენ ახალი დაწვრილებებით, უკვე ცნობილ გადაწყვეტილებათ. და რაც ყველაზე უფრო საპატოოა, ქრისტე მაცხოვრის ქვეყნათ მოსვლის წინ მაშინდელი განათლებული ქვეყანა უკვე გულ გატეხილი იყო ყველა ამ გადაწყვეტილებებზე და მოელოდა ღვთიურს, განცხადებულს პასუხს სიცოცხლის უმაღლეს მიზანზე და მასთანვე მრავალ სხვა კითხვებზე. ბოლოს ეს ღვთივ განცხადებული პასუხი მოცემულ იქნა. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში უფალმა ამცნო თავის ერს: „იყვენით წმიდანი, ვითარცა მე წმიდა ვარ“ (ლევ. 9, 14), ე. ი. ადამიანის უზენაეს მიზნად უყენებდა მისგავსებას მისდამი. ახალ აღთქმაში ეს მიზანი გარკვეულ იქნა აღსავსედ და სრულად.

თვით იესო ქრისტემ თქვა: „იყავით სრულნი, ვითარცა სრულ არს მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5, 40).

ამ რაგათ დაუბოლოებელი თვით განვითარება ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ღვთის მიმზგავსება—აი უმაღლესი მიზანი ადამიანის სიცოცხლისა განცხადების მოძღვრებისამებრ, ე. ი. როგორც ღმერთი ყოვლად მეცნიერი არსება, ისე ადამიანები უნდა მიისწრაფდნენ, ყოველივე გაიცნონ (1 კორნთ. IX 20; ფილიპ. 1, 9,—10) ე. ი. უხვმოყვარული, კეთილი, მოწყალე და მისგვარი არსება, ისე ადამიანები უნდა მიისწრაფდნენ ყოვლის საცოდნელად, კეთილებად და მოწყალეებად. როგორც ღმერთი უმაღლესის ხარისხის თავისუფალი არაებაა, ისე ადამიანები უნდა მიისწრაფდნენ ზნეობითის თავისუფლებისადმი მიღწევას და სხ. და არც შეიძლება არ ითქოს, რომ ღვთის მიმზგავსება ანუ დაუბოლოებელი განვითარება არის ერთად ერთი ქეშმარიტი ცხოვრების მიზანი. თვით უმთავრესი მისი ღირსება იგია, რომ ის სრულიად შეესაბამება წვრილმანთა ადამიანის ბუნებისა და ამ უკანასკნელის ღირსებას. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს მთელი წარსული ცხოვრება კაცობრიობისა. მართლაცა და, თუ ჩვენ ჩავაკვირდებით მას უფრო ყურადღებით, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ადამიანები ზოგჯერ შეგნებულათ, მაგრამ ყოველთვის და ყოველგან მიისწრაფდნენ განვითარებისადმი. ის კი მართალია, რომ ზოგჯერ განვითარება მათ გაეგებოდნათ ცალმხრივად. მარა მისდამი მისწრაფებანი მაინც არ შეიძლება მათში უარყვით; არ შეიძლება უარყვით მით უფრო, რომ ეს მისწრაფება და მხოლოდ იგი სავესებით ღირსია კაცობრივის ბუნებისა, რომელშიაც არის წყურვილი კეთილისა, წყურვილი ცოდნისა, წყურვილი უკეთესისა. მეორე ღირსება თვით განვითარებისა, როგორც ცხოვრების უმაღლესის მიზნისა შეიცავს მასში, რომ მისდამი მისწრაფებით ადამიანი გზა და გზა მიადწევს ხოლმე კმაყოფილებასაც და სარგებლობასაც. მართლაცა და არს შედეგად გაჩნდნენ ყველა ის, ცხოვრებით მარჯულობანი, რაებითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ? შედეგად, უექველია, იმისა, რომ ადამიანები ვითარდებოდნენ, ე. ი. ეცნობოდნენ ბუნებას და მის ძალებს და ზოგი მათგანი თვითონ მოიხმარეს, სხვები გადაქმნეს არ მავნებლად თვისდა; სულ უფრო და უფრო შექმნდათ თავის ცხოვრებაში ქრისტიანულ-



ნი დასაბამნი და ქმნიდენ მის ურთიერთობათა უფრო საუკეთესოდ და უფრო სამართლიანად და სხ. რა თქმა უნდა, ადამიანები ჯერ შორს არიან სისრულემდე. ბევრი მეფობს ჯერ ქვეყანაში და თვით ადამიანებში ბოროტება და უმართლოება, მაგრამ ბრძოლა მათთან და ძლივეა მათი - ეს არი ჩვენი დაწინაურება, ჩვენი მიზანი“.

დკპ. დ. დამბაშაძე

ქართული საღმრთო და საეკლესიო წიგნების მხედრული ასოებით დაბეჭდვისა გამო.

ერის წინმსვლელობა, განვითარება, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რო ყოველივე ის, რაც მის ცხოვრებაში რთული და საძნელოა, რაც მისგან ბევრ დროსა და შრომას თხოულობს, მარტივდება, ადვილდება, ისე რომ მაზე კაცს ცოტა დრო და მკადინობა ჭირდება. ამ კანონს ემორჩილება ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეები და მოვლენანი, და ამავე კანონის თვლით უნდა შევხედოთ ამას წინ «მწყემსში» დაყენებულ კითხვას, თუ რომლის ანბანით სჯობია საღმეთო წერილის და საეკლესიო წიგნების დაბეჭვდა, ხუცურით თუ მხედრულით. ამ ორ ანბანში სამუდამო, საყოველღეო სახმარებლად უნდა ამორჩეულ იქმნეს ის, რომელიც უფრო მარტივი და ადვილ საკითხავია. ხოლო პირველსავე შეხედვაზე კაცი მიხვდება, თუ რომელი მათგანი უფრო მარტივი და ადვილია. ხუცურ ასოების გამოხატულება ძლიერ რთულია, ნამეტურ ასო-მთავრულებისა; გარდა ამისა ბევრი მათგანი ერთმანეთს წააგვანან, და მათის გამოცნობისათვის, ერთი-მეორისაგან გარჩევისთვის საჭიროა კარგად ჩაკვირება. ხოლო მხედრულ ასოების მოყვანილობა მეტად მარტივი და გარკვევითია, ასე რომ მათ თვალი მსწრაფლ არჩევს. კიდევ შემჩნეულა, რომ ხუცურ ოთხ-კუთხოვან ასოების გარჩევის დროს თვალი უფრო იღლება, ვიდრე მხედრულის კითხვის დროს. ეს გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში მით უფრო, რომ ახლანდელ დროში სუსტ თვალებიანები

მეტობენ საღ თვალებიანებზე. საეკლესიო და საღმრთო წერილის წიგნების მხედრულ ასოებით დაბეჭვდით არავითარი ცვლილება არ მოხდება, არც მათ შინაარსში, და არც სიტყვებში, რადგან ყველა იმ ხმა-ბგერათათვის, რომლებიც ხუცურის ასოებით გამოიხატება, მხედრულ ანბანშიდაც შესაფერი წერილობითი ნიშნები მოიპოვება, მხოლოდ საჭიროა **ღ, ზ, ც**, რომლებიც ეხლანდელ მხედრულ მწიგნობრობიდან განდევნილია, ისევე ხმარებულ იქმნეს, როგორც ჩვენ ძველ მხედრულ მწიგნობრობაში, საღმეთო წერილის და საეკლესიო წიგნების დაბეჭვდას მხედრულ ანბანითა დიდი მნიშვნელობა ექნება პირველად საეკლესიო მოსამსახურეთა კანდიდატებისთვის, ე. ი. სასულიერო სასწავლებელთა და სემინარიათა მოსწავლეთათვის, ყველამ იცის, რო ჩვენი მოსწავლეები ფრიად დამძიმებული არიან მრავალ საგნების და ენების შესწავლითა ასე რომ ხუცურის შესწავლისთვის ძლიერ მცირე დრო რჩება, და ამ დროს ისინი მხოლოდ ხუცურის კითხვის პროცესს ანლომებენ და წაკითხულის შინაარსის შეთვისება, ძველ სიტყვების განმარტებას უყურადღებოდ სტოვებენ. თანაც მრავალნი სიძნელისა გამო ხუცურის კითხვისა იძულებენ საღმრთო წიგნებს და ამიტომ მათ იშვიათად შლიან ხოლო, მხოლოდ მაშინ, როცა ძალას დაატანებენ. თუ გინდა მუყაითადაც ისწავლონ ხუცურის კითხვა, როცა მწესდებიან საეკლესიო თანამდებობაზე და კითხვას ეკლესიაში იწყებენ, შეუბოროძიკებლად მაინც ვერ კითხულობენ და ეს გასაკვირველი არ არის; ხუცურის შეუცდომლად წაკითხვა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც თვალი კარგად უჭრის და ანუ მთელ თავის სიცოცხლეშიდ მის კითხვაშია. საღმრთო წერილის და საეკლესიო წიგნები თუ დაიბეჭდა მხედრულ ანბანით, მაშინ ერთი რამ უფრო ადვილად შეიძლება მათი შეუცდომლად წაკითხვა, და მეორედ, მოსწავლეებს მიეცემათ დრო და საშვალება საეკლესიო და საღმრთო წიგნების შინაარსში ჩაკვირებისა, ძველ გაუგებარ სიტყვების აღსნისა. შემდეგ, მხედრულ ასოებით დაბეჭვილ საეკლესიო წიგნების შემოღებით შეიძლება მიზიღვა საერო სასწავლებელთა მოსწავლეების და საზოგადოდ ერის კაცთა მონაწილეობის მიღებად საეკლესიო კითხვაში, რასაც დიდი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ექნება, მხედრულს ყველა ადვილად წაკითხავს, რადგან წამ და უწყუმ კითხუ-

ლობენ. ტყუილია ის შიში, ვითომც ხუცურის უარყოფა და მხედრულის შემოღება საეკლესიო ხმარებაში ხალხს შეაცდენს და მასში განყოფას გამოიწვევს. მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი ისე გონება სუსტი და დაბნელებული არ არის, რომ ვერ გაარჩიოს, თუ რაშია ძალა, თუ რას აქვს მნიშვნელობა, იმდენად შეუგნებელი არ არის, რომ ვერ მიხვდეს, რომ საეკლესიო წიგნების ძალა-არსი ხმების გამოხატულებაში, ანბანში კი არ არის. სიმართლეს მოკლებულია ის მსჯელობაც. ვითომც ხუცურ ანბანით დაბეჭდილ წიგნების ხმარება საჭიროა ეკლესიებზე, სხვა-და-სხვა შენობებზე და ნივთებზე ხუცურ ზედ წარწერების და ძველ ხელთნაწერების წაკითხვისთვის. საისტორიო და საარხეოლოგიო ნიჭის პ. ტრონი, მოსიყვარულე და შემძლე ზედწარწერების და ხელთნაწერების ჩხრეკისა ათასში ორიოდე თუ გამოვიდა კარგი უნდა; და ნუ თუ ამ ორიოდე კაცისთვის საეკლესიო მოსამსახურეთა ყველა კანდიდატებს საქმე უნდა გაუძნელოთ და ხუცური უნდა ვაღეჭვინოთ და ერის კაცთ კარები უნდა დაუხშათ, არ უნდა მივცეთ მათ საშუალება მონაწილეობის მიღებისა საეკლესიო ღმერთის მსახურებაში! ვინც ზედწარწერების და ხელთნაწერების კვლევას მიყოფს ხელს, ის თვითონაც შეისწავლის ხუცურს ერთ კვირაში.

კაკაბიძე

ჩვენ ყველა მოსაზრებას ვუთმობთ ადგილს «მწყემსში», რადგანაც საჭიროა ამ გვარი რთული კითხვის ყოველ მხრივად აწონ-დაწონა. ამ წერილსაც რედაქტორი ადგილს აძლევს, თუმცა თვით წინააღმდეგია მასში გამოთქმული აზრებისა. დაწვრილებით პასუხს, რასაკვირველია, ჩვენ აქ აღარ გავცემთ ყოველ ადგილს ამ წერილისას, რადგანაც «მწყემსი»-ს მკითხველთ ჩვენ უკვე ვაუწყეთ ჩვენი აზრი. ასე რომ გამეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. ამ შენიშვნაში რაიმე ახალს დასაბუთებას ვერა ვპოვებთ ისეთს, რომ წინა წერილში არ გვეკონოდეს მოხსენებული და ნაგულისხმევი. მთავარ საბუთად დასახელებულია მხედრულის სიმარტივე ხუცურთან შედარებით, კითხვის სიადვილე, ხუცურის ვითომდა სიძნელის გამოისობით ხალხში სამღვთო წერილის

წიგნების გაუფრცვლებლობა და სხ. ჩვენ ისევ ჩვენსას ვიტყვი: ვინც ივარჯიშებს, არა თუ ხუცურ ანბანს, არამედ სხვანაირსაც, რომელიც ბევრის წილად უფრო რთულიც და ძნელი გასარკვევიც არის, მასაც კი გაიადვილებს. თვალის დაღლას კი, რანაირიც უნდა იყოს ანბანი, ისევ ვარჯიშობას მოკლებული თუ იგრძნობს, თორემ კარგად გაჩვეული სრულიადაც არა. აბა ჰკითხეთ ძველ მოხუცებულ მღვდელთ და მედავითნეთ, თუ მოხუცებულობის და მიუხედავად მათი თვალი იღლება ხუცურის კითხვით? რაც შეეხება თვალ სუსტებს—ამათ ხომ მხედრული ანბანი ვერ გაუსწორებს ნაკლს. საამისოდ მეცნიერებამ უკვე იღონა საშუალება (სათვალე) და მათაც ამ ღონის ძიებას უნდა მიმართონ და არა ანბანის გამოცვლას მიაპყრან თავისი იმედი. ერთი მეორის მგვანი ასოები განა მხედრულში არ მოიძებნება? ან რომელია ისეთი ანბანი, რომ ერთი მეორის მგვანი ასოები არ იქნეს მასში ბლომად. „ჩვენ მოწაფეებს ხუცურის შესწავლისათვის მცირე დრო რჩებათო“—ეს მართალია, მაგრამ ნუ თუ ამისათვის მაინცა და მაინც ჩვენა ვართ ვალდებული საეკლესიო წიგნების ანბანი შევცვალოთ?! მერე ამით ან კი რა ბევრ დროს შევუმცირებთ მოწაფეებს.—ან რის სასარგებლოდ წავა ეს გადანარჩენი დრო?... და „თუ ვინმე იშვიათად შლის საღვთო წიგნებს, ამ გვარ ადამიანთ არათუ მხედრული ანბანით, არამედ ძალათი წიგნის ჩაჩრითაც ვერ დააწყებინებს ადამიანი კითხვას. არც ერის კაცები „მიიღებენ მონაწილეობას საეკლესიო წიგნების კითხვაში“. საამისოდ სულ სხვანაირი აღზრდაა საჭირო, და ბევრი ისეთი პირობები, რაიც ჩვენ არ მოგვეპოვება. ამას კი ვერ მივალწევთ, შეცვლილი ანბანითაც რომ დაგსტამბოთ ყველა საღვთო წერილის წიგნები. ბევრი არის გამოცემული ლოცვნებიც, სხვა სასულიერო წაგნებიც. მხედრულის ანბანით, მაგრამ მათ ხელში ამღებს იშვიათად წააწყდებით და ისიც ათასში ერთხელ. სურვილი იყოს, თორემ ამ წიგნებს ისე ცოტა არ ეყოლებოდა თვალ-ყურის მადევნებელი. ეს თვისება ასე მსწრაფლად არ შეიცვლება და არც მხედრულად დაბეჭდილი საღვთო წიგნები გააჩენს ამ თვისებას. ეს სულ სხვა რაიმეს შედეგია და წამლობაც სულ სხვანაირი უნდა. ეს მთავარი მხარე უნდა გვეკონდეს გათვალისწინებული და ის ნამდვილი საჭიროება, რაც ჩვენ ხალხს განუმტკიცებს სარწმუნო-



ნობასა და ზნობას. სწორედ ის არის საჭირო და საზრუნავი, რაიც სამისოდ მას ესაჭიროება. თორემ მარტო იმ წვრილმან მიზეზების მოშორებას რომ გამოუდგეთ—ან კი რა გამოვა ამით? ნუ თუ ჩვენ ხალხში გულ გაგრილებას სარწმუნოებისადმი შეცვლილი ანბანით მოგუხებრებთ რაიმე ცვლილების დატყობას?!.. ჩვენის აზრით ან კი რატომ ჩავცივე-
 მივართ მაინცა და მაინც ანბანის გამოცვლას. რაღა ჩვენ გვსურს გამოვიჩინოთ ეს უცნაური თვისება. რამდენია ჩვენს გარდა ქრისტიანი ერები—იგინი რატომ არ იცვლიან ანბანს და არ უარყოფენ ძველს? რაღა ჩვენ გვსურს ამ ახალ შემოდებულობით რაიმეს გასწორება? ნუ თუ ჩვენ გამოვედით ასეთი მზრუნველი და თანამოძმისთვის თავდადებული და სხვა კი ყველა სიჯიუტეს არ იშლის და ერთხელვე აჩენილ საღეთო წერილის სტამბას არც სპობს და არც სცვლის?!

რედაქტორი.



ღაღადი ჩვენი თავად-აზნაურობისადმი.

ქართულთ დიდებულნი! თვალი გადაავლეთ ჩვენს წარსულ ცხოვრებას, გაისხენეთ რა რიგ უეჭარდათ ეკლესია თქვენ სასკლოვან წინაპართ, როგორ ზრუნავდენ მის გამშვენებაზე, როგორ მრავალ და დიდ ტაძრებს და მონასტრებს აძენებდენ, როგორ ამკობდენ მათ თქრო-ვერცხლით მოჭედულ ხატებით, თქრომკედით ქსოვილ მქამოსლებით და სხვა ძვირფას ნივთებითა, როგორ უხვად და დაუხარებლად სწირავდენ თვის ადგილ-მამულებს. მოიგონეთ ეს შესანიშნავი თვისება თქვენ წინაპართა, და თუ ცოტათი მაინც აფასებთ მათ ხსოვნას, შეიჩინეთ იგი—ადინთეთ სიუკარულობით ეკლეს-

სიისადმი და გამოჩინეთ იგი საქმეში. აი აგერ გელათი, ვარძია და მცხეთის საკრებულო ეკლესია—ძვირფასი ნაშთნი ჩვენ წარსულ ბრწეინგაღე დროისა; მიაქციეთ მათ ეურადღეობა, რა იუვენ ისინი ერთ დროს და რას წარმოადგენენ ახლა? გული დაგიღონდება, ნაღვლით ავევსება, როცა მათ დაინახავ. გელათის მონასტერში მხოლოდ ექვსიოდე კაცი იმყოფება, არ ისმის შიდ განწეობილი გალობა, მღვდელ მოქმედებენ დაძველებულ დაგლეჯილ შესამოსლებში, სასამთლეები და სხვა საეკლესიო მოწეობილობანი დატეუეილი გაუფჭებულია, მხატვრობა კედლებზე წაშლილია და სხვა-დასხვა. მცხეთის საკრებულო ეკლესია, კარდა იმისა, რომ შინაგან მოწეობილობით ეოველგვარ სიმშვენეირეს მოკლებულია, კიდევაც ირღვევა. ვარძიაში მხოლოდ ერთი ბერი შეუარულა, ცოდვა არ არის, რო ეს შესანიშნავნი ადგილნი, მაჩვენებლნი ჩვენის წარსულ ნათელ მოცულ ცხოვრებისა, ჩვენის კულტურულ განვითარებისა.—მოწამენნი, რო ჩვენ საშუალო საუკუნებშიაც ვცხოვრობდით ისტორიულ ცხოვრებითა და გქონია განათლება, — მოძაგონებულნი ძველის დროისა, ბედნიერ და მავ-დღეთა.—ასე მივიწყებული, ასე სამწყხარო მდგომარეობაში იუვენ! ცოდვა არ არის, რომ ის დიდებული ადგილები. სადაც ერთ დროს ჩვენი ძეუეები ღოცულობდენ, სადაც კათალიკოსები მსახურებდენ, სადაც გამშვენებული წირვალოცვა სრულდებოდა, სადაც ჩვენი წინაპრები დმერთს თვის თავს კულ მხურვალედ ავადრებდენ, სადაც მრავალი ბერები იღვწოდენ, სადაც სიცოცხლე სდუღდა და კადმოსდიოდა,—ახლა უუურადღებოდ დატოვებულია და ასეთ სატი-

რალ მდგომარეობაშია? ცოდვა არ არის, რომ გელათის მონასტერი, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ზირველ ხარისხოვან მონასტრად ითვლება, თვის მაწვობილობით, თვის ქონებით რუსეთის უკანასკნელ მესამეხარისხოვან მონასტრისა ც ვერ შეედრება? რას იტყვიან უცხოელი ამ ჩვენის ზირველ ღირსოვან მონასტრის მნახველი? რა წარმოდგენას იქონიებს იგი ჩვენ ეკლესიებზე საერთოდ? რა აზრს შეადგენს იგი ჩვენს სარწმუნოებაზე, ჩვენ ეკლესიისადმი სიყვარულზე? რა ფიქრები უნდა აღედგინოს მცხეთის საკრებულო ეკლესიის მნახველსა? აქ განისვენებენ ჩვენი მეფენი, აქ ზირველად გაიხმა დიდება ქრისტეს სახელისა, აქ დასდო ზირველი თვისი ღვაწლი წმ. ნინომ, — და ჩვენ როგორ ვეპურებით ამ წმიდა ადგილსა ვარძა, ეს გაბოცებელი ნაშთი ქართველთ განვითარებისა, შრომისა, ძლიერებისა და დიდებისა, ვეულისკან მიტოვებულია. განა ებატება ჩვენს ერს ასეთი გულ გრილობა ამ დიდებულ ნაშთებისადმი! ნუ თუ ჩვენს ხალხს მთლად დაეკარგა სიყვარული ეკლესიისადმი! ნუ თუ მას არავითარი ზეტავისცემა არ აქვს თვის წინაპრებისადმი, რომლებმაც ეს ნაშთები დაკვიტოვეს! არა, ჩვენი ერი შეიგნებს ამ ძველ ნაშთების მნიშვნელობას და იზრუნებს მათ დაცვაზე და გამშვენებაზე, თავდაპირველად მათზე ზრუნვას იქონიებენ ჩვენნი დიდებულნი, როგორც ჩვენის ხალხის მოწინავე ზირნი, როგორც უფრო შეგნებულნი, როგორც ნივთიერად უფრო შემღებულნი; და მერმე მათს მაგალითს სალხიც მიბაძვს. თავად-ახნაურნი! ახლა თქვენ მოგვცათ სამუშალები უფრო ათხოვრთ ზემოდასახელებულ ადგილების საჭიროებათა. რა თქმა უნ-

და, რო ბანკიდან დაბრუნებულ ფულებს სხვადა-სხვა საერთო საკეთილ-მიზნო საქმეებს მოახმარო; და სხვათა შორის, იმ ადგილების გამშვენებისათვისაც გამოიღეთ მათგან ნაწილი. ისმინეთ ქართველთ ღაღადისი, გულის სიღრმიდან აღმონახეთქი. დროზე უფრო ვუკდოთ ამ დიდებულ ნაშთებს, თორემ მოძავალი მთამოძავლობა ზიზღით მოგვიხსენიებს*).

კახიძე

*] ვბეჭდვთ სავსებით ამ მოწოდებას ზეტავისცემული ავტორისს, რომელსაც სრულის თანხმობითა და თანაგრძნობით ვუკებთათ. მართლაც შეტად საკულისხმად ამგვარი ღაღადი კითხვისადმი საზოგადოების უურადღების მიზეზობა. უფრო საკულისხმა ძველ შესანიშნავ ნაშთთა დაცვაზედ?... შეტადრე იმნაირი ერის ცხოვრებაში, ვასაც მოწამებრივი ბრძოლით დაუფარავს ეს ღაღადი ძველება მტერთა მუსრვისკან და უსსოვარის დროადგან მოუღწევიანობათ ჩვენ დრომდე. ვის არ შეაწყურებს, თუ კი აღამაზი შეგნებულა და მარტო ზირად ცხოვრებაში არ არის თავდავიწყებული. მცხეთის ტაძრის და სხვა ამგვარ ძველთა შეუფერებელი ეოფა, ჩვენ არა ვგებნია, რომ ეს გულგრილად ასატანი იყოს რიგაზი ქართველისთვის. მაგრამ რა ჭქნას ჩვენმა საზოგადოებამაც, რადესაც სხვა-და-სხვა კარემიებათა გამო მისი კვანთმიური ცხოვრება მთლად შეცვლილი და მზარქვევული შეიქნა. ვერავინ უარეოთს, რომ ესლანდელი ქანებრივი შეძლება ქართველის შეტის-შეტად განსხვავებული არ არის წინანდელთან. რასაკვირველია, ქველმოქმედების საქმესაც დაეტეობდა ეს საერთო ქანებრივი სისუსტე. ან კი რომელ ერთს გაუძლას ჩვენმა შემოსავალმა? რამდენი გადაჭარბებული ხარჯი დაგვატეხა ამ ბოლო სხნებმა, რამდენი უბრალო რამეც კი შეტად ძვირად გვაფდებს—რაც ჩვენ ხელთ არ არის, და არც ჩვენ ნებაზე დამოკიდებული?! და შემოსავლის წყარო კი საიდან და რადენი გვაქვს?... ჩვენის აზრით, უთუოდ ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი და არა სარწმუნოებრივი გრძნობის შემცირება და შესუსტება, რასაც ზოგიერთები,




ჩვენ ცხადრების არა მტადნი, კვაიკიებუენ. თუ ამისთანა შესანიშნავა ნაშთებმა, რეგორიე არის მცნეთა, აღავრდი, გელათი, მარტვილი, დრანდა, ბაქვიტა და სს. შესაფერავად ინახებოდენ და კარგადაც მოადწიეს ჩვენ დრომდე, ამას მარტა კერძა აღმანახების დასმარება ვერ განვდებოდა. ეს ადგილები ჩვენი შეფუქების სულტავ-სამარხი იუვენ და მათ უხვად ხმარდებოდა კერძოდ მათა და სკართა ხაზინის შემწეობაც. ეს ერთ-ერთ სკართთ სკარტებად იყო მიხსეული, და მარტა კერძა აღმანათა გულებობის მოლოდინის ამარად ამას არავინ დატოვებდა... რუსეთშიდაც ასე ხდება. შეცდომა იქნება რომ ვითუქროთ, ვითომც ზეტურბურდის ისახვის სობორთ, და მოსკოვის ქრისტეს მაცნებორთ ეპეუსია და სხვ. მარტა შეწირულებით იყოსაშენებული. ამათხედ დადელი ფული არის დასარჯული ხაზინის.

რაც შეეხება შეკეთებას და განახლებას—ესეც ბევრნაირი არის. თუ გამოგვიადებით გაბრწყინავლებას, რეგორც ეს სოკიერებმა იციან, მოვარაყებულ გუმბათებს და ჭვრებს, და სხვა ამისთანა კადამეტ ცვლილებას—რ-საკვირვებია, საამისოდ თანხას ვერც ვერანოდეს შეკადგენთ და რომ კადეგაც შეკადგინოთ, ერთ ძეგლსაც არ ეყოფა ეს და დანარჩენებისათვის შეუძლებელია იქნება ისევე ხელშეგრედ ამავე საშუალებისადმი მიმართვა. თუ კერედ წოდებულ ხურთ-მოძღვრების ხარჯთ-ადრიცხვას არ გაგვიადებით,—რაიც ეფველთვის ზომის კარდასული არის,—იმდენად შეკეთება მცხეთის ტაძრისა, რომ ბუნებისაგან დაზიანება ავამოროთ მას, საადვილო მოსახერხებელია. და თუ სავსებით გამოცვლას გამოფუდებოთ, ეს საძნელად არის და არც დაშენდება ამ ტაძარს. სადადაც მნიშვნელობისა და სიძვირფასეს ისტორიულად მოხეჭილს, მას თითქოს სავანებოდ უძლიერებს და უმტკიცებს ის სიმატევე და თავისებურება, რამელიც ამ ტაძარს ატევი. და არც გვაქვს არავითარი უფლება შევცვალოთ ეს, რადგანაც ისტორიული ძეგლის შეცვლა და „უკანასკნელ გემოის“ მოთხოვნალებსმაებრ კარდაქმნა დიდ შეუსაბამობად არის ჩათვლილი ეველგან და ეველსაგან ისტორიისა და არქეოლოგიის მხრათ.

დასასრულდ ვისურვებთ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას მიექციოთ უურადლებს ზემოხსენებული მოწოდებისათვის და, თუმცა მისი სხობკადო მოთხოვნილება ბევრნაირია, მაგრამ მათ შორის ეს მოთხოვნილება, ჩვენის მხრისა არ დაეტოვებოდეს უუურადლებოდ.

რედაქტორი.



ახალი ამბები და შენიშვნები.

უწმ. სინოდმა დაამტკიცა სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების ახალი წესდება. ამ წესდების ძალით გადიდებულ იქმნა პროგრამები საღვთის-მეტყველო საგნებისა, და შემცირებულ არა საღვთის-მეტყველო საგნებისა. ძალიან შემცირებულია განსაკუთრებით პროგრამები მათემატიკისა, ფიზიკისა და გეომეტრიისა; შესამჩნევად შემცირებულია აგრეთვე პროგრამები ფილოსოფიისა და ფსიხოლოგიისა. საღვთის-მეტყველო საგნების პროგრამა გადიდებულ იქმნა, გარდა გომილეტიკისა: ეს საგანი სრულიად გაუუქმებიათ. ახლის წესდებითვე სემინარიების ინსპექტორებად და სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებად, აგრეთვე ლიტურჯის მასწავლებლებად სემინარიებში უნდა უქვევლად დაინიშნონ ხოლომე ან ბერები და ან მღვდლები. გაუქმებულ იქმნა სასწავლებლებში ინსპექტორის ანუ ზედამხედველის თანამშრომლის თანამდებობა. ამის ნაცვლად აღმზრდელთა რიცხვი იქმნა გამრავლებული. ამ აღმზრდელთ უნდა დახმარება აღმოუჩინონ ხოლომე მოსწავლეებს გაკვეთილების სწავლების დროს და მათ ყოფა-ქცევასაც თვალ-ყური ადევნონ. („ივერია“)

გამოიცა უქაზი უწმიდესი სინოდისა, რომლითაც თითო კლასიან სამრევლო სკოლებში ორი წლის დროის მაგიერ სამი წელიწადი უნდა გაგრძელდეს სწავლება. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ჩვენში სამ წელიწადს მეოთხე წელიწადიც მოემატება.

მცირე ფორმატის სამოციქულოს ბეჭედა ამ ცოტა ხანში გათავდება, მაგრამ კურთხევენი კი აღარ იშოვება დღეს. იმედია, სინოდალნი კანტორა მალე შეუდგება ამ საქირო წიგნის ბეჭედასაც.

რაც სასულიერო სასწავლებელთათვის ახალი წესდება გამოიცა, ხსენებული სასწავლებლების რევიზიის საქმეც შეიცვალა. პირველად სასულიერო სემინარიები და ხანდისხან ოთხ-კლასიანი სასწავლებლების რევიზორებად უწმიდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კამიტეტის წევრები ინიშნებოდნენ. მაგრამ ამ ბოლო დროს კარგმა ხანმა გაიარა, რომ



სამსწავლებლო კომიტეტისაგან რევიზორები აღარ დანიშნულა ჩვენი სასულიერო სასწავლებლების დასახედავით. დღეს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების დასახედავად თვით ადგილობის სასულიერო სემინარიებიდამ ინიშნებიან რევიზორები. ამ განკარგულების ძალით ქუთაისის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის დასახედავად დანიშნულია ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მ. ნ. პ. არხანგელსკი, რომელიც კიდევ შეუდგა ხსენებული სასწავლებლის რევიზიას 16 იანვრიდამ. ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ოლქის სამღვდლოება რიგიანად ვერ ტყობილობდა თუ რამდენი ფული შემოდიოდა ამ სასწავლებელში ერის კაცთა შვილებისაგან სწავლების უფლებისათვის, ვიდრემდის ამ სასწავლებლის ზედამხედველად არ დანიშნა ბ. იეროსლავი, რომელიც დღიდგან თვისი დანიშვნისა დაწვრილებითი ანგარიშს იძლევა ყოველ წლობით, თუ რამდენი ფული შემოდის სასწავლებელში ერის კაცთა შვილებისაგან. მაგრამ უფრო ბევრი ფულები შემოდიოდა ამავე წყაროდამ უწინდელ ზედამხედველების დროს, რადგან ერის კაცთა შვილები მაშინ უფრო ბევრი იყო ხოლმე, სასწავლებელში. იმედი არის, რომ მ. არხანგელსკი ჯეროვანად გამოიკვლევს საერო წოდების შვილთაგან შემოსული ფულის რაოდენობას 1891 წლამდე.

იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების საბჭო დღემდის მოთავსებული იყო დეკ. მ. გაბრიელ ცაგარეიშვილის სახლში, რისთვისაც მ. დეკანოზი სახლის ქირას იღებდა ყოველ წლივ. აღიძრა კითხვა, რომ ხსენებული საბჭო გადატანილ ყოფილიყო სასულიერო სემინარიის შენობაში და საბჭოს უბრალო ხარჯი სახლის დასაქირავებლად თავიდან აცდენოდა. ამის შესახებ ჟურნალი წარდგენილია ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონთან დასამტკიცებლად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოს უბრალო ხარჯები თავიდან აცილდება და საბჭო სემინარიის სადგომში იქნება გადატანილი.

ოკრიბის, სიმონეთის, ჩხარის და საჩხერის საბლადლოჩინო ოლქები ყოველად სამღვდლო ბესარიონის განკარგულებით იყოფიან თითოეული ორ-ორ საბლადლოჩინო ოლქად.

15 თებერვილიდგან ამა 1899 წ. ქ ქუთაისში, არქიერის გორაზე, ესტატე ლამბაშიძის სახლში გაიხსნა მედავითნობის, მთავარ-დიაკვნობის და მღვდლობის ხარისხთა მისაღები სკოლა უწ. სინოდის მიერ წარმოგზავნილ პროგრამაზე მოსამზადებელი. მასწავლებლებად არიან თავიანთ ადებულ საგნებში გამოცდილნი პირნი. სასყიდელი დანიშნულია თვეში ერთი თუმანი. კურსი სრულდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ მიხედვით იმისა, რომელი მოსწავლე რა გვარ წარმატებას გამოიჩენს. მიზანი ამ სკოლისა არის — გაუადვილოს მსურველებს ეს სავალდებულო მომზადება.

ამ წლის 12 იანვარს სხდომა ჰქონდა ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კომიტეტს ალავერდის ეპისკოპოსის ყოველად სამღვდლო კირმონის თავმჯდომარეობით.

ყოველად სამღვდლო კირიონის წინადადებისამებრ, კომიტეტის ახალ წევრებად კიდევ არჩეულ იმნენ ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დოსითეოსი, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ე. ბ. მამინაიშვილი, სიძველეთ-საცავის გამგეთ ნამყოფი ბ. ნი თ. დ. ჟორდანი, იმერეთის საეპარქიო მეთვალყურე მღვდ. მ. კელენჯერიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მ. ი. ჩოგოვაძე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ნი სანებლიძე, დეკანოზი დავით ლამბაშიძე, ბ. ნი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. ბარნოვი, ბ. ნი ალ. ყიფშიძე და გრ. ყიფშიძე.

ამ 1899 წ. გამოვიდა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ნახევარი მილიონი მანეთი სამღვდლოების ჯამაგირებად. იმედია, რომ საქართველოს სამღვდლოება ამ წელშიაც დაენიშნება ჯამაგირები, მსგავსად წარსული წლისა.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე.

სიკვება

ზაქეს კვირაეკისა ზედა.

სსხელითა მამისთა, და ძისთა, და სულისა წმადისთა.



მედარებით, ჯერ კიდევ შორსაა ის საღმრთო და სასურველი დრო, რომლის განმავლობაშიაც ყოველი რიგიანი ქრისტიანი იღვიძებს ზნეობრივად, ცდილობს ცოდვათაგან განშორებას, ზრუნავს სულის აღყვავებისათვის და მეცადინობს, რომ დასთრგუნოს და სრულებით მოიშოროს თავიდან ბიწიერი მოთხოვნებიანი ხორცისა. ჯერ ოთხი კვირა კიდევ გვაქვს გასავლელი იმ საღმრთო დრომდე, რომელსაც სახელად უწოდებთ დიდ მარხვას და რომლის განმავლობაში წმინდა ვდება არა მარტო ადამიანი, არამედ თვით ჰაერიც კი, რადგანაც ნაცვლად ლანძღვა-ჩხუბისა და უშვერი ლექსებისა, ჰაერშიაც ხშირად გაისმის ხოლმე ამ დროს ზარების რეკვა, ლოცვების გალობა და ადამიანთა ცოდვებზე გმინვა-ტირილი. დიად, ერთი თვე კიდევ გვიძევს წინ ამ წმინდა დრომდე, მაგრამ მუდამ მხრუნველი, თავდადებით მოსიყვარულე, მშობლოურად გულ შემატკივარი და მოტრფიალე დედა ჩვენი წმიდა ეკლესია თავისი საგალობლებით და სახარების საკითხავით აქედამვე გვაშადებს ამ დროის შესაფერად დახვედრებისთვის, აქედამვე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას დიდ-მარხვის განსაკუთრებით მნიშვნელობაზე, აქედამვე გვავიძობს და გვაფხიზლებს, რომ საუკეთესოდ ვისარგებლოთ ამ მომავალი საღ-

მართო ჟამით, წინ და წინვე გვაძლევს ყოველ გვარ დახმარება-დარიგებას, რომ გავვიადვილოს ცოდვათაგან მოქცევა და ღვთისნიერი ცხოვრების შეძენა.

დიდ-მარხვა არის დრო ცოდვათა შენანებისა, ზნეობრივი ამაღლებისა, სათნოების შეძენისა და ღვთის ნიერი ცხოვრების გზაზე დადგომისა. ამას მომეტებული ნაწილი ჩვენთაგანი ვგრძნობთ და, შეძლებისა და კვალად, ვცდილობთ კიდევ ნაჩვენებ სიკეთეთა შეძენას, მაგრამ ამასთან ერთად იმასაც კარგათ ვგრძნობთ, რომ როგორც ჯეროვანი სინანული, ისე ბოროტი ცხოვრების შეცვლა ღვთის საამო და სათნოებიან ცხოვრებაზე არ ხდება ყველასთვის ადვილი და ხელ მისაწდომი მარტოდ მარტო სწავლა-მოძღვრების, დარიგება-შეგონების, ქადაგება-ხელმძღვანელობის და გონივრულ მოსაზრება-მსჯელობის საშუალებით. სულ სხვაა, როდესაც დარიგებასთან და მოძღვრებასთან ერთად თვალ წინ გვიდგია მისაბძვი მაგალითი, ე. ი. როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენსავით იუდეებმა, დაცემულმა, ცოდვებით სავსე ადამიანმა უკუაგლო ნაძრახი ცხოვრება, მოიშალა წინანდებური, ღვთის მცნებათა დამარღვეველნი, ჩვეულებანი და შეიქმნა კეთილ მონად ღვთისა. ამისთანა მაგალითი გვაძინებებს, გვაფრთოვანებს, გვიბადავს გაბედულობას. უნებლიეთ გვიზიდავს წასაბაძვად. ამ გვარი მაგალითი უდრის გაკვეთილ, გაკვერილ გზას და გაკვერილ გზაზედ სიარული ხომ ყველასთვის ადვილი და მარჯვე მოსახერხებელია!

ამისთვისაა, რომ დღეს წ. ეკლესია არა მარტო გვიქადაგებს ცოდვათაგან მოქცევას, არამედ გვიჩვენებს კიდევ, ზაქეს საქციელის წინდადებით, წასაბაძს მაგალითს, სწორე გზას, სახეს იმისას, თუ როგორ უნდა შესცვალოს ადამიანმა უმართებულო, ბიწიერი, ცოდვებით წარყენილი ცხოვრება ღვთის საამო სათნოებიან და მაღალი ზნეობით აღბეჭდილ ცხოვრებაზე.

ზაქე, როგორც მოვისმინეთ დღევანდელი სახარებიდან, იყო მთავარი მეზვერეთა, ე. ი. ხარჯის შემკრებათა უფროსი და ამასთან პატრონი აუარებელი სიმდიდრისა სახარებიდან არ სჩანს, მაგრამ ცხადად კი იგულისხმება, რომ პირველში ზაქე არ იყო ღვთის მოსაყვი, დიდი პატიოსნების მიმდევარი და თავისს მოძმეთა მიმართ სიბრალულოთ და გულ შემატკივრობით გამსჭვალული. წინააღმდეგ, პატიოსნების გატებით, მოძმეთა დაჩაგვრით და ღვთის უშიშრობით შეიძინა მან მომეტებული ნაწილი თავისი სიმდიდრისა. მაგრამ საგულისხმოა აქ ის გარე-



შობა, რომ ასეთმა მიდრეკილებამ არ დაიმონავა სამუდამოთ იმ კაცის სული და არ ჩააქრო სრულებით მის გულში ღვთის-ნიერების ნაპერწკალი. სიმდიდრე და სახელი აღარ აკმაყოფილებდნენ ზაქეს. მას დაეზავდა გულში მძლავრი სურვილი იესო-ქრისტეს ხილვისა, მისი ვინაობის შეტყობისა და მასთან დაახლოებისა. ამ სურვილის აღძვრის შემდეგ დიდ-ხანს არ გაუვლია, რომ იესო ქრისტეს შემთხვა ზაქეს სამყოფელ ქალაქში — იერიქონში, — გაელა. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ბედნიერი შემთხვევა დიდად გაახარებდა ზაქეს. იმან დაუყონებლივ მიმართა გზას, რომელზედაც უნდა გამოეყო მაცხოვარს, მაგრამ წარმოიდგინეთ ხარისხი მისი შეწყუბებისა, როდესაც დარწმუნდა, რომ შეუძლებელია მისთვის ხილვა ქრისტეს სახესი! მაცხოვარს მოსდევდა აუარებელი სიმრავლე ხალხისა და რადგანაც ზაქე იყო ნამეტანი პატარა ტანისა, ადვილად მიხვდა, რომ მას არავინ მიუშვებდა ქრისტემდე და არც თუ უსაშიშრო იქნებოდა იმოდენა ხალხში გარევა: შესაძლო იყო სრულებითაც გაესრისათ იგი. მაგრამ დიდი ძალაა გულითადი სურვილი რისამე! ვერა გვარი სიძნელე და დაბრკოლება ვერ აფერხებს მას. ზაქემ შენიშნა, რომ იმ გზაზედ, რომელზედაც უნდა გამოეყო ქრისტეს, იდგა დიდი ლეღვის ხე. დანახვის უმაღლეს ზაქე მოექცა ამ ხეს წვერზე, რომ იქიდან დაენახა საწადელი ქრისტე. ქრისტემ, ვითარცა ღმერთმა, შეიტყო ზაქეს გულის წადილი და მიუახლოვდა თუ არა ლეღვს, რომელზედაც იჯდა ზაქე, შეიხედა მიღლა და ბძანა: ზაქე, ჩამოდი სიჩქარით, მე დღეს სტუმარი ვარ შენი სახლისაო. სიჩქარით აასრულა ბედნიერმა ზაქემ ბძანება ქრისტესი: ჩამოვიდა ხილამ, გაუძღვა თავის სახლისკენ ქრისტეს და დიდი სიხარულით მიიღო ძვირფასი სტუმარი თავის ოჯახში. დიდათ გაკვირდა და აღელდა იქ მყოფი ხალხი ქრისტეს ამ გვარი საქციელით; როგორ იკადრა ქრისტემ ზაქესთან მისვლა, რომელიც, როგორც მეზვერე, ცოდვებით არის სავსე, მაშასადამე, ღირსია იგი მარტო სიძულილისა და საზოგადო ზიზღისაო, ფიქრობდნენ იქ მყოფნი. ზაქეს ესმოდა ხალხის „დრტვინვა“, თითონაც დიდ დამნაშავედ და ცოდვილად სთვლიდა თავის თავს, მაგრამ რადგანაც მაცხოვარმა არ მიხედა მის ცოდვათა სიმრავლეს და არ მოიძულა იგი, გადასწყვიტა წინანდელი ცოდვების სამუდამოდ დათმობა, სრული სიწრფელით შეინანა თავისი წარსული ბოროტობა და აღსდგა და ხალხის წინაშე გულ ახლით

მოახსენა ქრისტეს: უფალო, მთელი ჩემი ქონების ნახევარს მივცემ ეხლავე ღარიბებს, და თუ ვისთვისმე გამოიმირთმევია როდისმე მეტი, გადუხდი სამადლოთ ერთი ოთხადო. კაცთმოყვარე და ცოდვილთა ნუგეშინის მცემელმა იესო ქრისტემ, შემდეგ ზაქეს აღთქმის მოსმენისა, ბძანა: დღეს იქნა ცხოვრება სახლისა ამის, რამეთუ ესეცა შეილი აბრამი არს ის: რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა (ლუკ. 19, 10—11).

აჰა, საყვარელნო მსმენელნო, ცხადი და საჩინო. მაგალითი ცოდვილი, ჩვენისთანა დაცემული ადამიანის მოქცევისა, ზნეობითი მეორედ შობისა, შეიღვთისად გახდომისა! აღვინთოთ ჩვენც ყველამ გულში, მსგავსად ზაქესი, ცხოველი სიყვარული ქრისტე მაცხოვრის მიმართ, აღვსბეჭდოთ შინაგანი და გარეგანი ჩვენი ცხოვრება ამ სიყვარულის ნიშანდობლივი ხასიათით, ყოველი ჩვენი აზრი, ყოველი მოქმედება ავაშენოთ ამ სიყვარულზედ და დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ყოველი ჩვენგანი, მსგავსად ზაქესი, გახდება ღირსი მაცხოვრის ყოველად მოწყალე სიტყვებისა: დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ არს ჩემი ყოფა.... დღეს იქნა ცხოვრება სახლისა ამის.... შევიძულოთ და ხელი ავიღოთ, მსგავსად ზაქესი, ცოდვებით აღვსილს ჩვენს ცხოვრებაზედ და ნაცვლად ბოროტებისა დავადგეთ სიკეთის გზას ესრეთ: ვისაც უსამართლოებით შეგვიძენია ქონება, შევიმოსოთ გულ უხვი და დაუზოგველი მოწყალება, ვისაც დაგვიჩაგრია მეზობელი და მოძმე, აღმოუჩინოთ მათ სამაგიეროდ გულითადი სიყვარული და ძმური დახმარება, ვისაც გვაცდნდა ენა, აღუთქვათ უფალოსა ლოცვა-ვედრება, ნაცვლად უზომო სმა და ჭამისა და მრუშებისა დავიღოთ ვალად მარხულობა, შრომა, სიუხიზღე და დარწმუნებულნი ვიყვენთ, რომ ჩვენც, მსგავსად ზაქესი, მოგვიტევენს ყოველ დანაშაულსის, რომელიც განაგებს ცასა და ქვეყანასა, რომელიც მეუფებს ანგელოზთა და კაცთა ზედა, რომელსაც უპყრია სოფელი და რომელიც მოვიდა ქვეყნად მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედილისა.

ჩვენთვის განხორციელებული და მრავალთა ტანჯვათა დამთმენელი, სასოო, შესავედრებელი და მხსნელი ჩვენო იესო, ძეო ღვთისაო! სიმდაბლით გვედრებით და გთხოვთ ღმობიერებით: მოგვანიჭე, ვითარცა ზაქეს მოტევება მწარეთა შეცოდებათა ჩვენთა, გვასწავე მისებრ სიყვარული წმიდისა სახელისა შენ სა, დაგვიწერე გულთა შინა ჩვენთა ზაქესებრი სურვილი მცნებათა შენთა აღსრულებისა, მოვედ სახლთა შინა ჩვენთაცა და აღგვავეს ურთერთის სიყვარულითა, ქრისტიანული სიბრალულითა და ძმური ერთგულებითა! ამინ.

ვისკოპოსი გორისა ლეონიდი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. რა დროდენ ერგება ჯამაგირი ახალ ნაკურთხ მღვდელს?

მაგება. მღვდელს ეძლევა ჯამაგირი მრევლის მღვდლათ კურთხევას დროდენ.

კითხვა. რა დროდენ მცეკმა ჯამაგირი მღვდელს, რომელიც ერთი მრევლიდან მეორეში გადადის, ყოვლად სამღვდელთს რეზოლიუციის დასმიდან, თუ იმ დროდენ, როცა ხელს მოაწერს ეპარქიის მღვდელთ-მთავარი გარდაყვანის მოწერილობას ბლადოჩინაზე?

მაგება. კანონიერად უნდა ჩაითვალოს ის დრო, როცა მღვდლის ან მედავითნის გარდაყვანის მოწერილობაზე ხელს მოაწერს, იმ რიცხვიდენ უნდა იღებდეს ჯამაგირსაც როგორც მღვდელი აგრეთვე მედავითნე.

კითხვა. როდესაც მღვდელი ავად არის და მის მაგიერ მრევლს სხვა მღვდელი მართავს, ერგება რამე შემოსავლიდან მას თუ არა?

მაგება. მღვდელს, რომელიც ავადმყოფი მღვდლის მრევლში ასრულებს სწეული მღვდლის თანამდებობას, მრევლის ყოველივე შემოსავლისაგან იღებს ნახევარ წილს იმ დრომდე, სანამ სწეული მღვდელი არ მორჩება.

კითხვა. იღუმენის ქონება ვის ეკუთვნება მისი სიკვდილის შემდეგ, მონასტერს თუ იღუმენის მემკვიდრეებს?

მაგება. მონასტრის წინამძღვარად მყოფის იღუმენის ქონება ეძლევა მისს მემკვიდრეებს, მაგრამ თუ იღუმენი ძალთა შორის ირიცხებოდა, მაშინ მისი ქონება სიკვდილს შემდეგ მონასტერს რჩება.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი იმ შემთხვევაში, როცა მისი მრევლი თავის ოჯახობით წასულია საცხოვრებლად სხვა ადგილზე და ამ მრევლის ოჯახობას ცვლილებაზე არავითარი ცნობა არა აქვს. გამოირიცხოს ეს მრევლი აფსარგბითი სიიდან, თუ რა უკოს?

მაგება. მღვდელს არა აქვს უფლება თავისი მრევლი გამოირიცხოს თავისი ნებით აღსარებითი სიიდან. ის ვალდებულია მოახსენოს თავის მთავრობას ოჯახობით წასული მრევლის გარემოება და მთავრობის განკარგულებით გამოირიცხოს აფსარგბითი სიიდან.

კითხვა. შეიძლება თუ არა სულელი კაცის ზიარება?

მაგება. თუ წმიდა მამანებს კანონით შეიძლება ემშკეულებით გიჟი კაცის ზიარება, რასაკვირვლია, არ უნდა ეთქვას ური ზიარებაზე სულელსაც. იგინი როგორც ქრისტიანი კაცის შვილნი, მსგავსად პატარა ბავშვებისა ეზიარებიან ხოლმე. მართალია ამისთანა სულელებს არ შეუძლიათ აღსარების თქმა, მაგრამ პატარა ბავშვებიც ხომ უაღსარებოთ ეზიარებიან ხოლმე.

კითხვა. მღვდელს უჩველეს და ცილისწამებით ბევრი რამ ცუდი დასწამეს, მაგრამ გამოძიების შემდეგ საჩივარში გამართლდა. საჭირო არის თუ არა ეს შემთხვევა კლიროვის უწყებაში ჩაეწეროს. ამ ჩაწერამ შეიძლება დააბრკოლოს იგი ჯილდოს მიღების საქმეში და საჩოთარო არის ზოგიერთი საჩივრებიც პატიოსანი კაცისათვის?

მაგება. თუ მივიღებთ სახეში კლიროვის უწყების უკანასკნელ ხაზს (ეს კლიროვის უწყების ფორმა ხომ სინოდის უქაზით დამტკიცებულია და სავალდებულოა მისი ასრულება), მაშინ უთუოდ უნდა იყოს მოხსენებული ყველა საჩივრები, რომელიც იყო განცხადებული მღვდელზე. ამ ხაზში არის ნაჩვენები, თუ ვინ რა საჩივრისა გამო არის ან იყო სამართალსა ქვეშე და რით გათავდა საქმე. ამისთანა ცნობა მხოლოდ ეპარქიის მღვდელთ-მთავრისთვის არის საჭირო, რომ შეადგინოს აზრი ყოველის მხრით მღვდელზე, თორემ ჯილდოს მიღებას არასოდეს არ დააბრკოლებს, რასაჩივარიც უნდა ყოფილიყოს მღვდელზე, თუ ის გამოძიებით გამართლებულია და საჩივარი უკურადღებოდ არის დატოებული.



საჭირო და სასარგებლო კალენდარული ცნობანი.

უ რ ე ე გ ა,

თუ რომელ კვირა ღღეს რა სმა იხმარება და რომელა საცისკრო
სახარება წაიკითხება ამ ჩუეთ წელმა.

ო თ ვ ე ნ ა.	რაცხო. კვარა.	ს მ ა.	საგ. სას.	მოვარე	ო თ ვ ე ნ ა.	რაცხო. კვარა.	ს მ ა.	საგ. სას.	მოვარე
ი ა ნ ვ ა რ ი.	3 28	7 10	ა		ი ვ ლ ი ს ი.	4 4	3 4	ა	
	10 29	8 11				11 5	4 5	ბ	
	17 30	1 1				18 6	5 6	გ	
	24 31	2 2	ა			25 7	6 7	დ	
	31 32	3 3	ბ		ა გ ვ ი ს ტ რ.	1 8	7 8	ა	
თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.	7 33	4 4	ა			8 9	8 9	ბ	
	14 34	5 5	ბ			15 10	1 10	გ	
	21 35	6 6	გ			22 11	2 11	დ	
	28 36	7 7	დ			29 12	3 1	ე	
მ ა რ ტ ი.	7 1	8 8	ა		ს ე პ ტ ე მ ბ ე რ ი.	5 13	4 2	ა	
	14 2	1 9	ბ			12 14	5 3	ბ	
	21 3	2 10	გ			19 15	6 4	გ	
	31 4	3 11	დ			26 16	7 5	დ	
ა პ რ ი ლ ი.	4 5	4 1	ა		ო კ ტ ო ბ რ ი.	3 17	8 6	ბ	
	11 6	5 2	ბ			10 18	1 7	გ	
	18 1	" "	გ			17 19	2 8	დ	
	25 2	1 1	დ			24 20	3 9	ე	
						31 21	4 10		
მ ა ი ს ი.	2 3	2 3	ა		ნ ო ე მ ბ ე რ ი.	7 22	5 11	ბ	
	9 4	3 4	ბ			14 23	6 1	გ	
	16 5	4 7	გ			21 24	7 2	დ	
	23 6	5 8	დ			28 25	8 3	ე	
	30 7	6 10			დ ე კ ე მ ბ ე რ ი.	5 26	1 4	ბ	
ი უ ნ ი ს ი.	6 8	7 9	ა			12 27	2 5	გ	
	13 1	8 1	ბ			19 28	3 6	დ	
	20 2	1 2	გ			26 29	4 7	ე	
	27 3	2 3	დ						



1899 წლის ტაროსის წინასწარმეტყველება:

გაზაფხული იქნება თფილი, მშრალი და მცენარეთათვის სასარგებლო.

ზაფხული დაუდგრომელი ამიდებით, წვიმიანი.

შემოდგომა ნოტიო, ძლიერი ქარებით, საზამთრო ნათესისათვის არ იქნება სასარგებლო.

ზამთარი ზომიერი.

1899 წ. იქნება ორა მკას დაბნელება და ორი მოვარას.

კერძო დაბნელება მკას იქნება 27 მაისს. დაიწყება 7 ს. და 11 წ. და დასრულდება 10 ს. 57 წ. დაინახება ევროპის და აზიის ჩრდილოეთის მხარეებში.

ირგვლავ დაბნელება მკე 21 ნოემბერს. დაიწყება 1 ს. და 10 წ. ნაშუადღევსას და გათავდება მეხუთე საათზე.

მოვარის სრული დაბნელება იქნება 11 ივნისს. დაიწყება 3 ს. და გათავდება საღამოს 6 საათზე.

მოვარის რკვალა დაბნელება დაიწყება დეკემბრის 5 რიცხვს, რუსეთში დაინახება. დაიწყება ღამის 2 ს. და 15 წ. და დასრულდება 5 საათზე და 37 წუთზე.

დექსასწაულა დღეობა, როდესაც სასწავლებლებში და სასამართლოებში მუშაობა არ არის.

იანვ. 1 ახალი წელიწადი, პარასკევი.
6 ნათლისღება. ოთხშაბათი.

თებერ. 2 მირქმა უფლისა. სამშ.
26—27 ყველიერის კვირა. შაბათი.

მარტი. 25 ხარება. ხუთშაბათი.

აპრლ. 16, 17 ვნების კვირა, დიდი პარასკ. ღ შაბ.
18 ბრწყინვალე კვირა, აღდგომა.
23 სახელწ. ხელმწ. იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა. გიორგობა. პარას.
27 დაბადება მემკვიდრე ცესარევიჩისა. სამშ.

მაისი. 6 დაბადება ხელმწიფე იმპერატორისა. ხუთშ.
9 ნიკოლოზობა. კვირას.
14 გვირგვინოსნება მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა. პარასკ.
25 დაბადება ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა. სამშაბათს.
27 ამაღლება უფლისა.

ივნისი. 6 სული წმიდის გარდამოსვლა. კვირა.
29 პეტრე-პავლობა. სამშ.

ივლის. 22 სახელწ. ქვრივი იმპერატრიცასი. ხუთ.

აგვის. 6 ფერისცვალება უფლისა. პარასკ.
15 მიძინება ღვთის-მშობლისა. კვირა.
29 იოანე ნათლის-მც. თავის-კვეთა. კვირა
30 ალექსანდრე ნეველის დღეობა. ორშ.

სექტემ. 8 ღვთის-მშობლობა. ოთხშაბ.
14 ჯვართ-ამაღლება. სამშაბ.

ოქტ. 1 ღვთის-მშობლის მფარველობა და სვეტიცხოვლობა. პარასკ.

21 ტახტზე ასვლა ხელმწიფე იმპერატორისა. ხუთშაბათი.
22 ყაზანის ღვთ.-მშობ. ხატის დღეობა. პარ.
26 დღესასწ. იოანე ღვთის-მეტყვ. კვირა.

ნოემბ. 14 დაბადების დღე ქვრივი იმპერატრიცასი. კვირას.
21 ტაძრად მიყვანება. კვირას.
26 სახელწ. მემკვიდრე ცესარევიჩისა. პარ.

დეკემ. 6 სახელწ. ხელმწიფე იმპერატორისა. ორშ.
25—27 შობის დღესასწაულები.

ღიდი აღების დღეები გაგრძელდება რვა კვირა. მგზევის კვირა თებერვლის 7-დან 13-დინ.





შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი.

მ. რედაქტორო! უმოჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ჟურნალის „მწყემსის“ საშვალეებით მადლობა უძღვნა რწმუნებულს ჩემდამო ლეწურწუმის წ. გიორგის ეკლესიის სამრევლოსა შინა მცხოვრებს გლესს ნავუია ბახვას ძე წურწუმიას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ეკლესიას წ. გიორგის მხატვრობა, ვეცხლით ნაკეთები და ოქროთი დაფერილი, ღირებული 150 მანეთის, რომლისთვის როგორც მე, აგრეთვე ჩემი მრევლიც გულითად მადლობას ვუცხადებთ.

ლეწურწ. წ. გიორ. ეკ. მღ. ნიკ. ქუთელია

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: რაში მდგომარეობს ადამიანის ცხოვრების მიზანი.—ქართული საღმრთო და საეკლესიო წიგნების მხედრული ასოებით დაბეჭდვისა გამო.—ლაღლი ჩვენ თავადაზნაურობისადმი.—ახალი ამბები და შენიშვნები —

სწავლა და მაცნეობა ჰრისტიანობაში საკრძუმეობასა და კითხილწმობაზე: სიტყვა, ზაქეს კვირიაკესა ზედა, თქმული ანჩხატის ტაძარში გორის ეპისკოპ. ლეონიდეს მიერ.—

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეჭვო კითხვების განმარტება.—უწყება, თუ რომელ კვირა დღეს რა ხმა იხმარება და რომელი საციკრო სახარება წაიკითხება ამ ჩყეთ წელში.—1899 წლის ტაროსის წინასწარმეტყველება.—შეწირულება.—განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორკვირულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. 6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.
— „ორივე გამოცემა“ — „ორივე გამოცემა“
მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვერაიალში, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მ.ლაზიაში, ბ. შიო ქუთუკაზვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყარაიან ჩხეიძესთან; სახლცხებში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; სახლსენაკში — ბლალაჩინ მან არიტარქ კლანდარი-შილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარობთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვერაიალში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирпы, вь редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერათვის დანიშნულია საჩუქრად **სახსული ღვთის-მუოგლის ფოტოგრაფიული ნახატი** და ჩვენი მოღვაწის ბატონის

აკაკის სურათი

ბრესტოლის ქალაღზე დაბეჭდილი.

შემოაღნიძნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისთანავე